

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის  
საერთაშორისო საზოგადოება



**ISFED**

წლიური ანგარიში - 2010

## სარჩევი

1. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა
2. ორგანიზაციის შესახებ
3. პროგრამები
4. საკანონმდებლო მიმოხილვა
5. 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგი
6. კონფერენციები და შეხვედრები
7. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიები
8. საზოგადოებასთან ურთიერთობა/პუბლიკაციები
9. „სამართლიანი არჩევნების“ სტრუქტურა და წევრები
10. ფინანსური ანგარიში/წლიური ბალანსი - 2010
11. დონორი/პარტნიორი ორგანიზაციები

# 1. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

2010 წელს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ დაარსებიდან 15 წელი შეუსრულდა. გულითადად მინდა მივულოცო ეს ღირშესანიშნავი თარიღი ორგანიზაციის თითოეულ წევრს, აქტივისტს, თანამშრომელსა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ორგანიზაციაზე გული შესტკივა. ხოლო ორგანიზაციას, ვუსურვო კიდევ მრავალი წლის განმავლობაში აკეთოს ქვეყნისათვის სასიკეთო საქმე და კვლავაც იდგეს დემოკრატიის სადარაჯოზე.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია ინფორმაცია იმ საქმიანობათა შესახებ, რომლებიც წარმატებით განახორციელა ორგანიზაციამ 2010 წლის განმავლობაში.

2010 წლის განმავლობაში, ორგანიზაციის მიერ მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგზე, ახალი კონსტიტუციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებასა და მოქალაქეთა აქტიურ ჩართვაზე ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, 2010 წლის განმავლობაში ორგანიზაციის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ არჩევნებში, მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში. მათ მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში, იორდანის სამეფოში, ყირგიზეთსა და კოსოვოში გამართულ არჩევნებში ევროპის ეუთოს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა და ENEMO-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ფარგლებში.

ვიმედოვნებ, „სამართლიანი არჩევნების“ საქმიანობების შესახებ სრული ინფორმაცია საინტერესო აღმოჩნდება თქვენთვის.

და ბოლოს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „სამართლიანი არჩევნების“ ყველა დონორსა და პარტნიორ ორგანიზაციას, ასევე, ორგანიზაციის თითოეულ დამკვირვებელს, აქტივისტს, წევრს, რაიონულ და რეგიონალურ კოორდინატორსა და ცენტრალური ოფისის თანამშრომელს.

## 2. ორგანიზაციის შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) არის მიუკერძოებელი, არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1995 წელს. წლების მანძილზე ორგანიზაციამ თავისი ობიექტური საქმიანობით საზოგადოებაში დაიმკვიდრა დემოკრატიულ პრინციპებზე მომუშავე მიუკერძოებელი და მაღალი ნდობის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციის სახელი.

„სამართლიანი არჩევნების“ სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- საარჩევნო პროცესების დემოკრატიულ სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და მათ მიმართ ნდობის გაზრდის ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა;
- კანონმდებლობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და კანონის უზენაესობის დაცვა.

თავისი არსებობის მანძილზე „სამართლიანმა არჩევნებმა“ რამოდენიმეჯერ განაახლა ორგანიზაციის სტრატეგია, რათა ძირითადი სამუშაო მიმართულებები მოერგო ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

„სამართლიანი არჩევნების“ ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება საარჩევნო პროცესების მონიტორინგია. არჩევნების დანიშნის დღიდან, ორგანიზაცია აკვირდება წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღესა და არჩევნების დღის შემდგომ პროცესებს, შედეგად ორგანიზაცია საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას სრული საარჩევნო პროცესის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ასპექტებთან დაკავშირებით. არჩევნების მონიტორინგთან ერთად ორგანიზაცია ახორციელებს ხმების პარალელურ დათვლას (PVT), რაც გულისხმობს არჩევნების შედეგების გამოცხადებას ოფიციალურ შედეგებზე გაცილებით უფრო ადრე. „სამართლიანი არჩევნებს“ წარმატებულად აქვს განხორციელებული ხმების პარალელური დათვლა ბოლო 7 უმნიშვნელოვანეს არჩევნებზე საქართველოში (2002-2003 წლიდან). აღნიშნული ინფორმაცია ეფუძნება „სამართლიანი არჩევნების“ სტატისტიკურად შერჩეული რაოდენობის დამკვირვებლებისაგან მიღებულ მონაცემებს, საქართველოს მასშტაბით.

წინა საარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ აქვეყნებს თავის ანგარიშს მონიტორინგის მიგნებებთან დაკავშირებით, ახდენს გამოვლენილი დარღვევების შეფასებას და ანალიზს უკეთებს არჩევნების საბოლოო შედეგებს.

ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად, გარდა არჩევნებისა, „სამართლიანი არჩევნებს“ განხორციელებული აქვს სხვადასხვა სახის საქმიანობები, დემოკრატიული პროცესის

განვითარებისათვის საქართველოში. ეს საქმიანობები ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურების საქმიანობების გამჭვირვალობის დონის ამაღლებასა და გაზრდაზე, ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების მოგვარებასა და ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდაზე, მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების დაახლოებასა და თანამშრომლობაზე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის მონიტორინგსა და მუნიციპალიტეტების მოსახლეობის პრიორიტეტების განსაზღვრაზე. ასევე, ამ კუთხით არსებული ხარვეზების გამოვლენასა და მათ გამოსწორებაზე, საერთო ჯამში კი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე.

### 3. პროგრამები

2010 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ განახორციელა არაერთი პროექტი. ვინაიდან 2010 წელი იყო საარჩევნო წელი, ორგანიზაციის საქმიანობები ძირითადად მიმართული იყო საარჩევნო პროცესების მონიტორინგისკენ, ამომრჩეველთა ინფორმირებისკენ, შედეგად კი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ხელისშეწყობისაკენ. 2010 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი პროექტები:

1. დიალოგისა და უნარჩვევების ხელშეწყობა ეფექტური ეროვნული საარჩევნო პროცესებისათვის;
2. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგი;
3. საქართველოს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი;
4. 2010 წლის არჩევნების მონიტორინგი;
5. საარჩევნო ინფორმაციული ვებ-გვერდის შექმნა;
6. “სახალხო მანიფესტი”;
7. ორგანიზაციის ინსტიტუციონალური გაძლიერება
8. რეგიონალური დებატების/შეხვედრების ორგანიზება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან ერთად საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით;
9. ტრენინგები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის საქართველოს კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით.
10. პოლიტიკურ პატიმართა საქმისწარმოების განხილვა

#### 3.1.

**პროექტის სახელწოდება:** „დიალოგისა და შესაძლებლობათა განვითარების ხელშეწყობა ეფექტური ეროვნული საარჩევნო პროცესებისათვის“

**პროექტის ხანგრძლივობა:** 1 ოქტომბერი, 2009 – 1 დეკემბერი, 2010 (14 თვე)

**დონორი ორგანიზაცია:** ევროკავშირი (EU) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP)

**პროექტის ბიუჯეტი:** 299 930 აშშ დოლარი

**პროექტის მიზანი:**

- საარჩევნო საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ქვეყანაში სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესებისა და პროცედურების დანერგვისა და მიმდინარეობის ხელშეწყობა.

**განხორციელებული საქმიანობები:** პროექტის ფარგლებში „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა არჩევნებთან და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი საინფორმაციო

კამპანია საზოგადოებისათვის, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებზე. კერძოდ:

- „სამართლიანმა არჩევნებმა“ საქართველოს 5 რეგიონში გახსნა რესურს ცენტრი. მარნეულის, ახალციხის, ზუგდიდის, გურჯაანისა და ბათუმის რესურს ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით საარჩევნო საკითხების ირგვლივ გაიმართა ორი ტიპის შეხვედრა: დისკუსია/შეხვედრა და კითხვა/პასუხის ღონისძიება. აღნიშნულმა შეხვედრებმა ხელი შეუწყო როგორც ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირებულობას საარჩევნო პროცედურებთან მიმართებაში, ასევე მათ გააქტიურებასა და ჩართულობას საარჩევნო პროცესებში. შეხვედრებზე დასწრება და მონაწილეობა თავისუფალი იყო ნებისმიერი მსურველისათვის;
- რესურს ცენტრებში შეიქმნა ბიბლიოთეკები, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა თანამედროვე საარჩევნო ლიტერატურას. ასევე, რესურს ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდული ჯგუფები სახელწოდებით „ახალგაზრდები სამართლიანი არჩევნებისათვის“, რომლებმაც მოაწყვეს არაერთი საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- წინასაარჩევნო პერიოდში „სამართლიანმა არჩევნებმა“ რეგიონალურ ტელევიზიებსა და რადიო მაუწყებლობებში პირდაპირ ეთერში გამართა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული ტელე და რადიო თოქ-შოუები, რომლებშიც ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა ადგილობრივი საარჩევნო ადმინისტრაციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმაც მიიღეს. თოქ-შოუების მაცურებლებსა და მსმენელებს საშუალება მიეცათ სატელეფონო ზარის მეშვეობით პირდაპირ ეთერში დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ პასუხები არჩევნებთან დაკავშირებულ მათთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე;
- წინასაარჩევნო პერიოდში ორგანიზაციამ განახორციელა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია 73 ავტოტურის ჩატარების მეშვეობით, რომელიც წარმოადგენდა მოსახლეობასთან ღია შეხვედრებს. ორგანიზაციის მოხალისეებმა ამომრჩევლებს მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო ადმინისტრაციის, არჩევნების დღის პროცედურების, ამომრჩეველთა სიების, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. კამპანიებზე გავრცელდა ორი სახის ლიფლეტი, რომელთა საშუალებით მოქალაქეებმა მიიღეს ინფორმაცია: 1. თუ როგორ უნდა გადაემოწმებინათ საკუთარი თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში; 2. როგორი იყო კენჭისყრის დღის პროცედურები არჩევნების დღეს. აღნიშნული მასალები დაიბეჭდა და გავრცელდა როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. აღსანიშნავია, რომ ავტოტურის კამპანია არ გულისხმობდა მხოლოდ თეორიული ხასიათის ინფორმაციის მიწოდებას. შეხვედრების დროს როლური თამაშების გზით გაიმართა არჩევნების დღის ინსცენირება, რომელშიც უშუალოდ ამომრჩევლები იყვნენ ჩართულები და მიიღეს პრაქტიკულ ცოდნა, თუ რა აუცილებელი პროცედურები იყო საჭირო კენჭისყრის დღეს ხმის მიცემასთან დაკავშირებით;

- „სამართლიანმა არჩევნებმა“ წინასაარჩევნოდ ასევე მოაწყო 144 საჯარო სტენდი საქართველოს 72 საარჩევნო ოლქში, რომლის მიზანი იყო: 1. ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირება საარჩევნო საკითხებსა და კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებით; 2. ამომრჩეველთა გააქტიურება. კამპანიის ფარგლებში გავრცელდა საინფორმაციო ხასიათის ბეჭდვითი მასალები;
- ორგანიზაციამ წინასაარჩევნო პერიოდში გამოსცა საგაზეთო ჩანართი „ამომრჩეველთა მეგზური“, რომელიც ჩაიღო და გავრცელდა გაზეთების: „რეზონანსი“ და „24 საათი“ საშუალებით საქართველოს მასშტაბით. საგაზეთო ჩანართმა დაფარა სხვადასხვა სახის არჩევნებთან დაკავშირებული თემები;
- „სამართლიანმა არჩევნებმა“ შექმნა დოკუმენტური ფილმი „არჩევნები“, საარჩევნო პროცედურებთან და ზოგადად არჩევნების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ფილმი გადაიცა საზოგადოებრივ მაუწყებლისა და 27 რეგიონალური ტელევიზიის ტელეეთერის მეშვეობით, რამაც ხელი შეუწყო წინასაარჩევნოდ ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა ფართო მასების ინფორმირებულობის გაზრდასა და მათ გააქტიურებას. ამასთანავე, ფილმის შემოკლებული ვერსიის ჩვენება მოხდა კინოთეატრ „რუსთაველში“ და ნახა 11 000-მა მაყურებელმა.

### 3.2.

**პროექტის სახელწოდება:** 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგი

**პროექტის ხანგრძლივობა:** მარტი - მაისი, 2010

**დონორი ორგანიზაცია:** შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)

**პარტნიორი ორგანიზაცია:** ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)

**პროექტის ბიუჯეტი:** 15 000 აშშ დოლარი

**პროექტის მიზნები:**

- საარჩევნო რეფორმების პროცესის ხელშეწყობა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის გაზრდა, საარჩევნო მოხელეთა საქმიანობის მონიტორინგის გზით;
- საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის გაზრდა, 2010 და 2012 წლების არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეების (საუბნო, საოლქო საარჩევნო კომისიების) დაკომპლექტების მონიტორინგის გზით.

**განხორციელებული საქმიანობები:**

პროექტის ფარგლებში „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

- 73 საარჩევნო ოლქში, განხორციელდა მონიტორინგი თითოეული ოლქის დაკომპლექტებისა და ოლქის წევრთა შერჩევის პროცესზე. მონიტორინგის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ოლქში დამატებითი წევრების შერჩევის პროცესზე;
- „სამართლიანმა არჩევნებმა“ საარჩევნო ადმინისტრაციისაგან ოფიციალურად გამოითხოვა და ამასთან, საკუთარი საჩივრების ბაზაზე დაყრდნობით შეიმუშავა იმ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ბაზა, რომელთაც 2008 წლის საპრეზიდენტო, საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დაეკისრათ სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები. „სამართლიან არჩევნებს“ ასეთი ინფორმაციის მოპოვებაში დახმარება გაუწია პარტნიორმა ორგანიზაციამ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია);
- „სამართლიანმა არჩევნებმა“ და საია-მ ასეთი ტიპის მოხელეთა ბაზა ერთობლივად წარუდგინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რათა რეკომენდაციის სახით გაეთვალისწინებინა 2008 წლის არჩევნების გამოცდილება საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების დროს; „სამართლიანი არჩევნები“ დააკვირდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევის პროცესს. კერძოდ, საარჩევნო უბნის კომისიის წევრებად შერჩეულ იქნენ თუ არა ის მოხელეები, რომელთა არაკომპეტენტური მუშაობის გამო საჩივარი დაიწერა ან/და გაუქმდა კონკრეტული საარჩევნო უბანი/ოლქი 2008 წლის არჩევნების განმავლობაში.

### 3.3.

**პროექტის სახელწოდება:** საქართველოს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი

**დონორი ორგანიზაცია:** ევროკავშირის მისია საქართველოში (EU) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP)

**პროექტის ბიუჯეტი:** 93 367.5 ევრო

**პროექტის მიზნები:**

- წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი
- საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ და კანონის შესაბამისად ჩატარება
- გამოვლენილ კანონდარღვევებზე ადეკვატური და სამართლებრივი რეაგირების უზრუნველყოფა
- საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე საარჩევნო პროცესებზე
- საზოგადოების ნდობის ამაღლება საარჩევნო პროცესებისადმი და მათი ინფორმირება არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით.

**განხორციელებული საქმიანობები:**

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგი მოიცავდა სამ ეტაპს - წინასაარჩევნო პერიოდი, არჩევნების დღე და არჩევნების შემდგომი პერიოდი. აღნიშნულმა პროექტმა მოიცვა სამივე პერიოდის მონიტორინგი.

წინასაარჩევნო პერიოდი

- „სამართლიანი არჩევნების“ ცენტრალური ოფისის მიერ მომზადდა გრძელვადიანი დამკვირვებლების სახელმძღვანელო და მონიტორინგის ფორმები;
- ორგანიზაციამ შეიმუშავა წინასაარჩევნო პერიოდის ცენტრალური, რეგიონალური და გრძელვადიანი დამკვირვებლების, ასევე იურისტების კომუნიკაციისა და ანგარიშგების სისტემა;
- წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის განსახორციელებლად, ორგანიზაციამ შეარჩია და ტრენინგი ჩაუტარა 73 გრძელვადიან დამკვირვებელს, 15 იურისტსა და 1 ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამკვირვებელს;
- ორგანიზაციამ განხორციელა მონიტორინგი შემდეგ მიმართულებებით: საარჩევნო ადმინისტრაცია (ყველა დონე), საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია, ამომრჩეველთა სიები და წინასაარჩევნო გარემო. მონიტორინგი განხორციელდა 73 საარჩევნო ოლქში საქართველოს მასშტაბით;
- განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა პერიოდული ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენის“ (სულ ოთხი), ორგანიზაციის ვებ-გვერდის, პრეს-კონფერენციებისა და მასმედიის სხვა საშუალებების მეშვეობით;
- განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიმუშავა რეკომენდაციები, საარჩევნო პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

### არჩევნების დღე

- არჩევნების დღის მონიტორინგის მიზნით მომზადდა მოკლევადიანი დამკვირვებლების (არჩევნების დღის) სახელმძღვანელო. ასევე, მობილური ჯგუფების, ოლქის დამკვირვებლების, იურისტების, კომპიუტერული ოპერატორების ინსტრუქციები და ფორმები. შეიმუშავდა არჩევნების დღის კომუნიკაციისა და ანგარიშგების სისტემა;
- ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი ორგანიზაციის ტრენერებისათვის, რომლებმაც თავის მხრივ ტრენინგი ჩაუტარეს ორგანიზაციის მოკლევადიან/უბნის დამკვირვებლებს. ტრენინგები ჩაუტარდათ მობილურ ჯგუფებს, ოლქის დამკვირვებლებს, იურისტებს, კომპიუტერული და კრიტიკული სიტუაციების ოპერატორებს;
- შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელშიც დამუშავდა დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
- ორგანიზაციამ განახორციელა არჩევნების დღის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი 1097 მოკლევადიანი დამკვირვებლის, 73 მობილური ჯგუფის, 73 ოლქის დამკვირვებლის, 15 იურისტის და 1 ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამკვირვებლის მეშვეობით;
- განხორციელებული მონიტორინგის, არჩევნების დღეს მიმდინარე პროცესებსა და დარღვევების შესახებ ინფორმაცია ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა განცხადებების, პრეს-კონფერენციების, რადიო და სატელევიზიო ინტერვიუების მეშვეობით.

### არჩევნების შემდგომი პერიოდი

- არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის განსახორციელებლად ორგანიზაციამ შეიმუშავა არჩევნების შემდგომი პერიოდის დაკვირვების მეთოდოლოგია, კომუნიკაციის სისტემა, შესაბამისი სახელმძღვანელო და მონიტორინგის ფორმები;
- არჩევნების შემდგომი პერიოდის დამკვირვებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები და დაურიგდათ მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო მასალები;
- არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი განხორციელდა „სამართლიანი არჩევნების“ 25 ოლქის დამკვირვებლისა და 1 ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამკვირვებლის მიერ;
- არჩევნების შემდგომი პერიოდის დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადებების, პრეს-რელიზების, პრეს-კონფერენციებისა, სატელევიზიო და რადიო ინტერვიუების მეშვეობით.

### **3.4.**

**პროექტის სახელწოდება:** 2010 წლის არჩევნების მონიტორინგი

**პროექტის ხანგრძლივობა:** 1 მაისი 2010 – 31 ივლისი 2010

**დონორი ორგანიზაცია:** შავი ზღვის ფონდი

**პროექტის ბიუჯეტი:** 24 895 აშშ დოლარი

**პროექტის მიზნები:**

- არჩევნების პროცესში გაყალბების ან/და გაყალბების მცდელობის აღკვეთა/პრევენცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების უფრო თავისუფლად და სამართლიანად ჩატარების ხელშეწყობა;
- „სამართლიანი არჩევნების“ ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგის საფუძველზე, რეკომენდაციების შემუშავება საარჩევნო პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

**განხორციელებული საქმიანობები:**

პროექტის მიზნისა და ამოცანების მიღწევისათვის "სამართლიანმა არჩევნებმა" განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

- "სამართლიანმა არჩევნებმა" შეარჩია, მოამზადა და საქართველოს 25 საოლქო საარჩევნო კომისიაში მიავლინა ორგანიზაციის 25 დამკვირვებელი. ესენია: # 1 მთაწმინდის, # 2 ვაკის, # 3 საბურთალოს, # 4 კრწანისის, # 5 ისნის, # 6 სამგორის, # 7 ჩუღურეთის, # 8 დიდუბის, # 9 ნაძალადევის, # 10 გლდანის, # 15 ლავოდების, # 17 თელავის, # 20 რუსთავის, # 21 გარდაბნის, # 32 გორის, # 35 ხაშურის, # 37 ახალციხის, # 44 ამბროლაურის, # 54 სამტრედიის, # 59 ქუთაისის, # 62 ჩოხატაურის, # 64 სენაკის, # 70 ფოთის, # 79 ბათუმისა და # 83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიები.

- არჩევნების შემდგომი პერიოდის განმავლობაში, „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები დააკვირდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის სრულ პროცესს, 31 მაისიდან საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე; ორგანიზაციის ერთი დამკვირვებელი წარმოდგენილი იყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ორგანიზაციის მიერ წარგზავნილმა იურისტებმა იმუშავეს საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში.
- მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, „სამართლიანმა არჩევნებმა“ შეიმუშავა რეკომენდაციები, საარჩევნო პროცესების შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოში.

### 3.5.

**პროექტის სახელწოდება:** საარჩევნო ინფორმაციული ვებგვერდის შექმნა

**პროექტის ხანგრძლივობა:** დეკემბერი 2009 - ივნისი 2010.

**დონორი ორგანიზაცია:** ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"

**პროექტის ბიუჯეტი:** 38 620 აშშ დოლარი

**პროექტის მიზნები:**

- 2010 ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ამომრჩევლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ინფორმირება;
- ორენოვანი (ქართული, ინგლისური) ვებ-პორტალის შექმნა, სადაც განთავსდება ინფორმაცია: ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო კომისიების წევრების, საარჩევნო ოლქებისა და უბნების რეკვიზიტებისა და ასევე, „სამართლიანი არჩევნების“ მიერ განხორციელებული არჩევნების მონიტორინგის შედეგების შესახებ.

**განხორციელებული საქმიანობები:**

პროექტის ფარგლებში შეიქმნა საარჩევნო საინფორმაციო ვებ-პორტალი. ორგანიზაციის რეგიონალურმა და რაიონულმა კოორდინატორებმა მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია თითოეული საარჩევნო ოლქისა და უბნის მიხედვით. მოპოვებული ინფორმაცია დამუშავდა ცენტრალური ოფისის მიერ და განთავსდა ვებ-პორტალზე ქართულ და ინგლისურ ენებზე. „სამართლიანი არჩევნების“ საარჩევნო ვებ-პორტალზე განთავსდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები;
- 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამები;
- 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის გახსნილი საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები (რაოდენობა, რეკვიზიტები);
- 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის გახსნილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები (შემადგენლობა);
- 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების მონიტორინგის შედეგები;

- 1.1.1.1.1. წინასაარჩევნო პერიოდი;
- 1.1.1.1.2. არჩევნების დღე;
- 1.1.1.1.3. არჩევნების შემდგომი პერიოდი.

- ორგანიზაციის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებსა და სასამართლოებში შეტანილი საჩივრები.
- 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების რაოდენობრივი შედეგები, კერძოდ: არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიები და მაჟორიტარი კანდიდატები.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ ეწვიოთ „სამართლიანი არჩევნების“ ვებ-გვერდს [www.isfed.ge](http://www.isfed.ge) ან უშუალოდ საარჩევნო ვებ-პორტალს: [www.electionsportal.ge](http://www.electionsportal.ge).

### 3.6.

**პროექტის სახელწოდება:** „სახალხო მანიფესტი“

**პროექტის ხანგრძლივობა:** 1 ოქტომბერი, 2009 - მიმდინარე

**დონორი ორგანიზაცია:** ევროკომისია (EC)

**პროექტის ბიუჯეტი:** 699 809 ევრო

**პროექტის მიზნები:**

- მოქალაქეთა და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების უნარჩვევების გაზრდა, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მონიტორინგისა და კონტროლის კუთხით;
- ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში;
- პოლიტიკური პარტიების/ცალკეული კანდიდატების პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების აღმოფხვრის ან სულ მცირე გაუმჯობესების პროცესში.

**განხორციელებული საქმიანობები:**

პროექტის ფარგლებში „სამართლიანმა არჩევნებმა“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით 2010 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი საქმიანობები:

- ორგანიზაციების მიერ შერჩეული მოდერატორების მიერ ჩატარდა 83 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა საქართველოს 62 მუნიციპალიტეტში. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტები წარმოადგენდნენ სხვადასხვა რაიონებიდან და სოფლებიდან სპეციალური კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეულ ადგილობრივ მოსახლეობას. შეხვედრაზე დამსწრეთა გამოკითხვის შედეგად, გამოვლინდა ადგილობრივ დონეზე არსებული მოსახლეობისათვის პრობლემატური საკითხები;

- წინასაარჩევნო პერიოდში ორგანიზება გაუკეთდა მრგვალი მაგიდების შეხვედრებს საქართველოს 62 მუნიციპალიტეტში, სადაც 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა პარტიების თითოეულ საარჩევნო სუბიექტს ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წარუდგინეს და გააცნეს ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლენილი პრობლემატური საკითხები. არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს შესაძლებლობა მიეცათ, ერთის მხრივ, თავიანთი საარჩევნო პროგრამა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით წარემართათ, ხოლო, მეორეს მხრივ, არჩევის შემთხვევაში ეზრუნათ მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებისთვის;
- „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საიას“ ტრენინგებმა ჩაუტარეს ტრენინგები აქტიურ მოქალაქეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს. ტრენინგები ჩატარდა 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე, ტრენინგები ჩაუტარდათ აქტიურ მოქალაქეებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საქართველოს 62 მუნიციპალიტეტში, ლიდერობის/აქტიური მოქალაქეობის, ინფორმაციის საჯაროობის, ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესისა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობების მონიტორინგის შესახებ. ტრენინგების მეორე ეტაპი მოიცავდა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების ტრენინგებს საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში, მათი პასუხისმგებლობების, ანგარიშვალდებულებისა და მოსახლეობასთან ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის თემაზე; ბიუჯეტის ფორმირებაზე;
- ტრენინგების შედეგად გამოვლენილმა აქტიურმა მოქალაქეებმა განახორციელეს ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობების მონიტორინგი შემდეგი მიმართულებებით: ინფორმაციის საჯაროობა, ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესი და მოქალაქეების ჩართულობა სხვადასხვა საკითხების განხილვასა და მოგვარებაში, სხდომებზე დასწრების მეშვეობით. კონკრეტულად, მოქალაქეებს ყოველთვიურად შექონდათ მათთვის საინტერესო საკითხებთან და ადგილობრივ პრობლემებთან დაკავშირებული განცხადებები საკრებულოებსა და გამგეობებში, ესწრებოდნენ სხდომებს, აკვირდებოდნენ ბიუჯეტის ფორმირებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცესს და ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლენილ პრობლემებზე ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან რეაგირებას და მათ მოსაგვარებლად განხორციელებულ საქმიანობებს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს მათი მომავალში გათვალისწინების მიზნით;
- ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობების მონიტორინგში ჩართულმა აქტიურმა მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღეს 15 სასწავლო ტურში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. სასწავლო ტურის ძირითადი მიზანი იყო მოქალაქეთა ინფორმირება ადგილობრივი წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართულებებისა და მათი საქმიანობების შესახებ, გამოცდილების გაზიარება და პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბება. სასწავლო ტურის მონაწილეები ესტუმრნენ წინასწარ შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სადაც

თითოეულმა ორგანიზაციამ მიაწოდა ინფორმაცია მოქალაქეებს მათი ორგანიზაციის შესახებ. ამასთანავე, მოქალაქეებმა შეძლეს მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხების მიღება;

- აქტიურმა მოქალაქეებმა გადაიღეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების პრობლემების ამსახველი ფოტოები, რომლებიც წარდგენილ იქნა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფოტო-გამოფენაზე. ფოტო-გამოფენას დაესწრნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები;
- ორგანიზაციებმა გამოაცხადეს სტატიების კონკურსი 3 თემაზე: მე და ჩემი თვითმმართველობა, თვითმმართველობა-ხალხის სამსახურში?, მე რომ ვიყო საკრებულოს წევრი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო პროექტში ჩართულმა ყველა მსურველმა აქტიურმა მოქალაქემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და მუნიციპალიტეტიდან.
- პროექტის საქმიანობებისა და მონიტორინგის შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ორგანიზაციების რეგიონალური და რაიონული კოორდინატორების მიერ ტარდებოდა ყოველთვიური პრეს-კონფერენციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას პროექტის ფარგლებში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობებისა და მონიტორინგის დროს დაფიქსირებული დარღვევებისა და პრობლემების შესახებ თითოეულ მუნიციპალიტეტში.

### 3.7.

**პროექტის სახელწოდება: ორგანიზაციის ინსტიტუციონალური გაძლიერება**

**პროექტის ხანგრძლივობა:** 1 ოქტომბერი 2009 – 30 ივნისი, 2010

**დონორი ორგანიზაცია:** ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED)

**პროექტის ბიუჯეტი:** 42 340 აშშ დოლარი

**პროექტის მიზნები:**

- ორგანიზაციის გრძელვადიანი სიმტკიცის გაძლიერება, ინსტიტუციონალური და ტექნიკური უნარების გაძლიერებით;
- საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფისათვის ტექნიკური გამოცდილების მიწოდებით. (ევროსაბჭოსა და ეუთოს მიერ ინიცირებული სამუშაო ჯგუფი).

**განხორციელებული საქმიანობები:**

პროექტი განხორციელდა ორ ეტაპად. 2010 წლის განმავლობაში განხორციელდა პროექტის მეორე ფაზა. „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა შემდეგი საქმიანობები.

- „სამართლიანმა არჩევნებმა“ ორგანიზება გაუკეთა მრგვალ მაგიდებს საქართველოს 6 რეგიონში: აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო და კახეთი. მრგვალი მაგიდების მიზანი იყო გამართულიყო დისკუსიები, სადაც ისაუბრებდნენ მაჟორიტარი დეპუტატები მათი ბიუროების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე თავიანთ რაიონებში, პარლამენტის წევრად

არჩევიდან 1 წლის განმავლობაში. მრგვალ მაგიდეზე მოწვეულნი იყვნენ შემდეგი მხარეები: საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატები, მათი ბიუროების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და თემების აქტიური წევრები, მასმედიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. მონაწილეებს მიეცათ საშუალება შეეფასებინათ მაჟორიტარი დეპუტატისა და მისი ბიუროს მიერ შესრულებული საქმიანობა. ასევე, ისაუბრეს იმ მექანიზმებზე, რომლებიც აუცილებელია კანონმდებლებსა და საზოგადოებას შორის დიალოგის გაძლიერებისთვის;

- ჩატარდა 6 ტიპის ტრენინგი ორგანიზაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისების თანამშრომლებისთვის, ახალ მიმართულებებსა და პრიორიტეტებზე.
- ჩატარდა გამგეობის 3 სხდომა.

### 3.8.

**პროექტის სახელწოდება:** რეგიონალური დებატების/შეხვედრების ორგანიზება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან ერთად საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით

**პროექტის ხანგრძლივობა:** 1 მაისი, 2010 – 15 სექტემბერი, 2010

**დონორი ორგანიზაცია:** ჰოლანდიის ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

**პროექტის ბიუჯეტი:** 6 000 ევრო

**პროექტის მიზნები:**

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით;
- აქტიური დიალოგის ხელშეწყობა საზოგადოებასა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას შორის.

**განხორციელებული საქმიანობები:**

- მოსამზადებელ პერიოდში ორგანიზაციამ უზრუნველყო შეხვედრების ლოჯისტიკური მხარის მომზადება;
- ჩატარდა შეხვედრები საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, რომლებსაც ჯამში დაესწრო 410 მონაწილე;
- საქართველოს მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

### 3.9.

**პროექტის სახელწოდება:** ტრენინგები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთათვის საქართველოს კონსტიტუციასა და საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით.

**პროექტის ხანგრძლივობა:** 10-31 დეკემბერი, 2010

**დონორი ორგანიზაცია:** ჰოლანდიის ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

**პროექტის ბიუჯეტი:** 9 392 ლარი

**პროექტის მიზნები:**

- საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება საქართველოში განხორციელებულ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით;
- საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ინფორმირება საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

**განხორციელებული საქმიანობები:**

- მოსამზადებელ პერიოდში პროექტის კოორდინატორმა უზრუნველყო ტრენინგის შინაარსობრივი და ლოჯისტიკური მხარის მომზადება, კერძოდ: ტრენინგის დღის წესრიგისა და შეფასების კითხვარის შემუშავება; გაავრცელა ტრენინგის ჩატარების შესახებ ინფორმაცია და მოიწვია პოლიტიკური პარტიები;
- ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგი ბაზალეთში, სადაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ოთხმა ტრენერმა ჩაატარა ტრენინგი კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ტრენინგების დროს მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია შემდეგ თემებზე: საქართველოს კონსტიტუციის ისტორია, მისი განვითარების გზები, დღეს მოქმედი კონსტიტუცია, შეტანილი ცვლილებები პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის ნაწილში, ძირითადი უფლებები, სასამართლო ხელისუფლება, არჩევნები და საარჩევნო სისტემები, ადგილობრივი თვითმმართველობა.

### 3.10.

**პროექტის სახელწოდება:** სავარაუდო პოლიტიკური სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაციის გაცვლითი ქსელის ჩამოყალიბება

**პროექტის ხანგრძლივობა:**

**დონორი ორგანიზაცია:** ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“

**პროექტის ბიუჯეტი:** 9 262 აშშ დოლარი

**პროექტის მიზნები:**

- საქართველოს მასშტაბით პოლიტიკური ნიშნით დევნილთა სისხლის სამართლის საქმეების კვალიფიციური შესწავლა;
- აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პროცესების მონიტორინგი;
- მონიტორინგის შედეგების ანალიზი და შესაბამისი დასკვნის მომზადება;
- საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება ასეთი კატეგორიის საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლენილ ტიპიურ დარღვევათა თაობაზე.

**განხორციელებული საქმიანობები:**

ე.წ. პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დონორსა და პროექტის მონაწილე ორგანიზაციების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პროექტის ფარგლებში მომხდარიყო ე.წ. პოლიტ-პატიმართა მხოლოდ იმ კატეგორიის საქმეთა

შესწავლა/მონიტორინგი, რომლებიც ეფუძნება 4 კატეგორიის დანაშაულს: ხულიგნობა, ნარკოტიკული დანაშაული, სამართალდამცავთა მიმართ ჩადენილი დანაშაული, იარაღის უკანონო ტარება/შენახვა/შეძენა. ამასთანავე, დაკონკრეტდა პროექტის მიზანი და პროექტის მონაწილეებს პროექტის ფარგლებში საქმიანობად განესაზღვრათ ამ კატეგორიის საქმეთა მოძიება, შესწავლა და შესაბამისი ანალიზის გაკეთება.

ინფორმაცია მიღებული იქნა მხოლოდ “საქართველოს რესპუბლიკური პარტიიდან”. შერჩეულ იქნა 4 საქმე:

- ირაკლი ხოჯანაშვილის საქმე – თბილისი;
- შოთა გოგიჩაშვილის საქმე – ქარელი;
- მიხეილ გაბუნიას საქმე – თბილისი;
- მერაბ ქათამაძის საქმე – თბილისი.

შესწავლილი იქნა მხოლოდ “საქართველოს რესპუბლიკური პარტიის” წევრის - მერაბ ქათამაძის საქმე, რომელმაც საქმე თავად წარმოადგინა, რადგან ჩვენს მიერ შერჩეულ სხვა 3 საქმეზე შესაბამისი სტრუქტურებიდან ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.

პროექტის მონაწილე ორგანიზაციების მიერ მოპოვებული იქნა ინფორმაცია “მოდრაობა ერთიანი საქართველოსათვის” პოლიტიკური პარტიის ყოფილი წევრის ეკა ბესელიას ძმის – სერგო ბესელიასა და შვილის – რატი მილორავას მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის თაობაზე. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მონიტორინგი განახორციელეს “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა” და “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” წარმომადგენლებმა. დამკვირვებლები დაესწრნენ 9 სასამართლო პროცესს, 2 მათგანი გაიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 7 – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

## 4. საკანონმდებლო მიმოხილვა

2010 წლის განმავლობაში „სამართლიანი არჩევნები“ აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებსა და ინიციატივებში. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სხვადასხვა ჯგუფებში, დაესწრნენ არაერთ შეხვედრასა თუ განხილვას და განახორციელეს მონიტორინგი ამ ჯგუფების მუშაობაზე. ასევე ხელი შეუწევს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ფართო საზოგადოების ინფორმირებას.

2010 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს საარჩევნო კოდექსში. წარმოგიდგინთ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს. „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების შეტანა ორ ეტაპად მოხდა, პირველად 2009 წლის 28 დეკემბერს და მეორედ 2010 წლის 12 მარტს

გამოყოფთ, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებას:

### 1. დედაქალაქის მერის არჩევა პირდაპირი წესით 30%-იანი ბარიერით:

დედაქალაქის მერის არჩევნებისათვის თბილისი წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს, რომლის საზღვრებიც ემთხვევა „საარჩევნო კოდექსის“ 126<sup>4</sup> მუხლის შესაბამისად თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო ოლქების საზღვრებს. თბილისის მერის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს ცესკო.

თბილისის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც უცხოვრია საქართველოში 5 წელი მაინც და ფლობს ქართულ ენას. მერობის კანდიდატის წარდგენის უფლება კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 30 დღისა აქვთ „საარჩევნო კოდექსის“ 117-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს. თბილისის მერობის კანდიდატს მიეკუთვნება წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

თბილისის მერის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას, მაგრამ არა ნაკლებ არჩევნებში მონაწილეთა 30%-სა. აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

### 2. ქალაქ თბილისის 10 საარჩევნო ოლქის დაყოფა 25 ქვე-ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქად:

თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის თბილისის მასშტაბით იქმნება 10 საარჩევნო ოლქი. თბილისის რაიონების ტერიტორიული ერთეულების საზღვრებისა და ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, არჩევნების დანიშნვიდან 5 დღის ვადაში ცესკო თავისი განკარგულებით ქმნის ადგილობრივ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს და ადგენს მათ საზღვრებს.

### 3. დედაქალაქის საკრებულოს წევრთა რაოდენობის გაზრდა 50 წევრამდე:

თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ნულოვანი ბარიერით, ხოლო 25 წევრი პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, 4%-იანი ბარიერით.

პროპორციული წესით თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად პარტიულ სიებს პარტია/საარჩევნო ბლოკი ცესკოს წარუდგენს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 30 დღისა. თბილისის საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების პარტიული სია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 50 და არა უმეტეს 100 კანდიდატისაგან. პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

თბილისის საკრებულოში მაჟორიტარული წესით ასარჩევ კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტია/საარჩევნო ბლოკს. პარტია/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს თბილისის საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატად წარადგინოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი.

#### 4. ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესის ცვლილება:

ცესკოს თავმჯდომარის არჩევა ხდება საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ცესკოს პარტიული წევრების მიერ (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა), ამ მუხლით დადგენილი წესით. ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში – შეწყვეტიდან არა უგვიანეს 15 დღისა საქართველოს პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარადგენს 3 კანდიდატურას.

ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, უმადლესი განათლების მქონე, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

ცესკოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას კანდიდატურების წარდგენიდან 5 დღის ვადაში იღებენ ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა). სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს ზემოთ განსაზღვრულ ცესკოს წევრთაგან უხუცესი წევრი. ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით კენჭისყრა ფარულია. კენჭისყრაში მონაწილე თითო წევრს აქვს ერთი ხმა. სამივე კანდიდატს ერთდროულად ეყრება კენჭი. ცესკოს თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუ რომელიმე კანდიდატმა მიიღო 4 ან 4-ზე მეტი ხმა.

თუ ზემოთ მითითებული წესით და ვადაში ცესკოს თავმჯდომარე ვერ იქნა არჩეული, წარდგენილი 3 კანდიდატურიდან საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, იმავე კანდიდატურებისგან, 7 დღის ვადაში ირჩევს ცესკოს თავმჯდომარეს.

#### 5. ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში მდივნის თანამდებობებს დაკავება ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მიერ:

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აირჩევა პარტიების მიერ დანიშნულ წევრთაგან (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა). საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ზემოაღნიშნული პარტიების მიერ დანიშნულ არანაკლებ 2 კომისიის წევრს. მითითებული კომისიის წევრები წევრობის უფლებამოსილების ვადით, დამსწრეთა უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით ირჩევენ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა ფორმდება კომისიის განკარგულებით. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს წარდგენილი კანდიდატურებისგან ირჩევს კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოცემული წესის შესაბამისად გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

თუ დადგენილი წესით არ იქნა დასახელებული საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არც ერთი კანდიდატურა, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის წევრებს. ერთი და იმავე კანდიდატის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

6. კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების მიერ ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადამოწმება და აღმოჩენილი ხარვეზების ცესკოში წარდგენა:

„საარჩევნო კოდექსის“ 129<sup>14</sup> მუხლის შესაბამისად 2010 წელს ჩასატარებელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის პარტიების მიერ ამომრჩეველთა სიების მონიტორინგის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არა უგვიანეს 2010 წლის 1 თებერვლისა დამატებით გამოყო 2010 წელს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისათვის შესაბამისი თანხა და უზრუნველყო მისი ჩარიცხვა ცესკოს ანგარიშზე.

ზემოაღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხა თანაბრად გადანაწილდება იმ პარტიებზე, რომლებიც დაფინანსებას იღებენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არა უგვიანეს 2010 წლის 1 თებერვლისა წერილობით მიმართავენ ცესკოს ამომრჩეველთა სიების მონიტორინგში მონაწილეობის შესახებ.

ამავე მუხლით განსაზღვრული ამომრჩეველთა სიების მონიტორინგის შედეგები წერილობით და ელექტრონული ფორმით უნდა მიეწოდოს ცესკოს არა უგვიანეს 2010 წლის 10 აპრილისა. თუმცა მოგვიანებით ცესკოს მიერ აღნიშნული ვადა გახანგრძლივდა, რითაც პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ შესაძლებლობა აღნიშნულ საკითხზე უფრო ხარისხიანად ემუშავათ.

7. საარჩევნო დავების განხილვასთან დაკავშირებული საკითხების ახლებურად განსაზღვრა:

კენჭისყრის დღეს განცხადება/საჩივარი გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს/ მის მოადგილეს/კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი რეგისტრაციაში გაატარებს განცხადებას/საჩივარს ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განმცხადებელს/მომჩივანს გადასცემს ცნობას განცხადება/საჩივრის ჩაბარების თაობაზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. თუ კომისიის თავმჯდომარემ არ ან ვერ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირებაზე, განმცხადებელს/მომჩივანს უფლება აქვს, ანალოგიური განცხადება/საჩივარი დაუყოვნებლივ წარუდგინოს ზემდგომ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია აღნიშნული განცხადების/საჩივრის განხილვისას იმსჯელოს შესაბამისი უბნის შედეგების ბათილობის საკითხზე.

იმ შემთხვევაში, თუ განცხადებაში/საჩივარში მითითებულ დარღვევას აღმოფხვრის საუბნო საარჩევნო კომისია, აღნიშნულის თაობაზე კეთდება სათანადო ჩანაწერი „დარღვევა აღმოფხვრილია“ და ზუსტი დროის მითითებით შეიტანება ჩანაწერთა წიგნში.

საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს ამ კანონის დარღვევის შემჩნევისთანავე, კანონით დადგენილი წესით, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.

განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე. წარდგენილი განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში ტარდება ჩანაწერთა წიგნში და საუბნო საარჩევნო კომისია გადასცემს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღის 20 საათიდან 48 საათის განმავლობაში, ამასთანავე განცხადება/საჩივარი იმავე ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება გადასცეს უშუალოდ განმცხადებელმა/მომჩივანმა. წარდგენილი განცხადება/საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში უნდა დარეგისტრირდა სარეგისტრაციო ჟურნალში. კომისია

გადაწყვეტილებას იღებს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

თუ დარღვეულია „საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი ინფორმაციის წარდგენის წესი, საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის მიმღები შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებულია განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგინოს ხარვეზი და განუსაზღვროს გონივრული ვადა მის გამოსასწორებლად. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში განცხადების/საჩივრის წარმდგენს უფლება აქვს დადგენილ ვადაში გამოსასწოროს ხარვეზი. თუ ხარვეზი არ გამოსწორდა, დადგენილი პროცედურების დარღვევით წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება, რის თაობაზედაც შესაბამისი საარჩევნო კომისია გამოსცემს განკარგულებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. რაიონული/საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცესკოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში კომისიის მიერ მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში საარჩევნო დავებზე განცხადების/საჩივრის წარდგენა შესაძლებელია კალენდარული დღის დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

***8. „საარჩევნო კოდექსით“ განისაზღვრა დისციპლინური/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები გარკვეული სახის სამართალდარღვევებისათვის:***

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, საარჩევნო ადმინისტრაციისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა, არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა, არასაპატიო მიზეზით საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის ზედიზედ 3-ჯერ გაცდენა, საარჩევნო კანონმდებლობისა და საუბნო საარჩევნო კომისიის რეგლამენტის უხეში დარღვევა, კომისიის წევრის მიერ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის სავალდებულო ხელმოწერაზე უარი.

ზემოაღნიშნული დისციპლინური გადაცდომისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ ზემდგომმა საოლქო საარჩევნო კომისიამ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: შენიშვნა, გაფრთხილება, ხელფასის/ხელფასის ნაწილის დაკავება, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

„საარჩევნო კოდექსის“ XVII<sup>1</sup> თავში მოცემულია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევათა ნუხსა, რომელთათვისაც კანონმდებელმა განსაზღვრა კონკრეტული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები. კერძოდ ასეთი სამართალდარღვევებია: წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით, წინასაარჩევნო მოწოდებების/მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა, საარჩევნო კამპანიის ჩატარება ამ საქმიანობისათვის აკრძალულ დაწესებულებებში, პოლიტიკური წინასაარჩევნო რეკლამის კანონდარღვევით განთავსება, შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება ან მათი ასლის გაუცემლობა, წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების კანონდარღვევით გამოყენება, უფლებამოსილი პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა, დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების უფლებების შეზღუდვა ან აღნიშნულ პირთა მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობებისა და მოთხოვნების დარღვევა და სხვ..

„სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება საარჩევნო კოდექსში შესულ რიგ ცვლილებებს. ვთვლით, რომ რიგი ცვლილებებისა შეიძლება ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად. მაგალითად, ისეთები როგორებიცაა ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი, მერის პირდაპირი არჩევნები და ა.შ. თუმცა ამავე დროს კანონში შევიდა ისეთი ცვლილებებიც, რომელთაც ვერ შევაფასებთ როგორც წინ გადადგმულ ნაბიჯს. მაგალითისათვის: კვლავ გაუგებარი რჩება რა პრინციპის საფუძველზე არ მოხდა საქართველოს ოთხ თვითმმართველ ქალაქში მერების პირდაპირი არჩევა, ან/და რა პრინციპის საფუძველზე განისაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონის ოპოზიციურ წევრთათვის მხოლოდ მდივნის თანამდებობები და არა თავმჯდომარისა და მისი მოადგილის და ა.შ.

## 5. 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მონიტორინგი

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 30 მარტის # 254 განკარგულებით, საქართველოს კონსტიტუციის 104<sup>3</sup> მუხლისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129<sup>13</sup> მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და ქ. თბილისის მერის არჩევნები, 2010 წლის 30 მაისს დაინიშნა. ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129<sup>9</sup> მუხლის შესაბამისად, # 7 ჩუღურეთის, # 12 გურჯაანისა და # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით შუალედური არჩევნები 30 მაისს დაინიშნა.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ დაიწყო მზადება ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებზე დაკვირვების განსახორციელებლად. მოსამზადებელ პერიოდში „სამართლიანმა არჩევნებმა“ საქართველოს მასშტაბით მობილიზება გაუკეთა ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლებითა და მოკლე ვადიანი აქტივისტებით დაკომპლექტებულ სადამკვირვებლო ქსელს.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ პერიოდის მონიტორინგი. ორგანიზაციის გრძელვადიანი და მოკლე ვადიანი დამკვირვებლების მიერ საქართველოს მასშტაბით მოპოვებული ინფორმაცია საარჩევნო პროცესების და დარღვევების შესახებ სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით მიეწოდა ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას.

### 5.1. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი

2010 წლის 30 მაისის არჩევნების მონიტორინგში ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ ჩაერთო არჩევნების დანიშვნის დღიდან, 2010 წლის 30 მარტიდან. წინასაარჩევნო პერიოდში ორგანიზაციამ მონიტორინგი განახორციელა სხვადასხვა მიმართულებით: საარჩევნო ადმინისტრაციების საქმიანობა, ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო სუბიექტების/კანდიდატების მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები, ისეთები როგორებიცაა: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება; საარჩევნო კამპანიის წარმოებაზე ხელის შეშლა; ამომრჩეველზე/კანდიდატზე ზეწოლა/მუქარა; წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის დაზიანება; წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსება კანონმდებლობით აკრძალულ შენობა-ნაგებობებზე და სხვა.

#### ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდში ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემდეგი ფაქტები:

- ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების გამოყენება პოლიტიკური საქმიანობისათვის;
- საჯარო მოსამსახურის/მოხელის მიერ სამუშაო საათებში პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა-აგიტაცია;
- სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების არათანაბარ პირობებში ჩაყენება ადმინისტრაციული შენობებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ ზემოთ აღნიშნული შემთხვევები დაფიქსირდა: # 61 ლანჩხუთის, # 2 ვაკის, # 11 ახმეტის, # 52 ბაღდათის, # 54 სამტრედიის, # 44 ამბროლაურის, # 58 წყალტუბოს, # 70 ფოთის და # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში.

### საარჩევნო კამპანიის ხელის შეშლა

„სამართლიანი არჩევნების“ 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას დაფიქსირდა პოლიტიკური პარტიებისთვის წინასაარჩევნო კამპანიის ხელისშემშლელი გარემოებები. კერძოდ:

- კანონით განსაზღვრული ადგილობრივი შენობა-ნაგებობების არ დათმობა პოლიტიკური პარტიებისთვის, შეხვედრის ჩატარების მიზნით;
- წინასაარჩევნო გამოკითხვისთვის ხელის შეშლა;
- წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების ხელის შეშლა.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების მიერ ზემოთ აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდა შემდეგ ოლქებში: # 15 ლაგოდეხის, # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში.

### ზეწოლა/მუქარა

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების დროს ასევე დაფიქსირდა ზეწოლისა და მუქარის ფაქტები. კერძოდ:

- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებზე განხორციელებული ზეწოლის გარკვეული ფაქტები;
- პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან საკუთარი კანდიდატურების მოხსნის ფაქტები, თუმცა აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევებში კანდიდატები არ ადასტურებდნენ ზეწოლის შედეგად კანდიდატურის მოხსნის ფაქტს;
- ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერებისთვის ოჯახის წევრების სამსახურიდან გათავისუფლება/დათხოვნის მუქარა;
- სოციალური დახმარების გაუქმების მუქარით პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერის მოთხოვნა;
- ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლა.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების მიერ ზეწოლის/მუქარის ფაქტები დაფიქსირდა: # 51 ზესტაფონის, # 68 წალენჯიხის, # 69 ზუგდიდის, # 14 დედოფლისწყაროს, # 81 ქობულეთის, # 60

ოზურგეთის, # 66 ხობის, # 46 ლენტეხის, # 84 ხულოს, #62 ჩოხატაურის და #12 გურჯაანის საარჩევნო ოლქებში.

### სააგიტაციო მასალის დაზიანება

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით მრავლად დაფიქსირდა საარჩევნო სუბიექტებისთვის საარჩევნო სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტები. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა # 2 ვაკის, # 3 საბურთალოს, # 9 ნაძალადევის, # 59 ქუთაისის, # 60 ოზურგეთის, #62 ჩოხატაურისა და # 70 ფოთის საარჩევნო ოლქებში.

### წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსება საცხოვრებელი კორპუსების ტერიტორიებზე

წინასაარჩევნო პერიოდში თბილისსა და სხვა ქალაქებში დაფიქსირდა წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსება საცხოვრებელი კორპუსების ტერიტორიებზე. საცხოვრებელ კორპუსებში ასეთი ტიპის მასალის განთავსებაზე გადაწყვეტილების მიღება ამავე კორპუსების ე.წ. „ამხანაგობების“ პრეროგატივაა და შესაბამისად, მათთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს. „სამართლიანმა არჩევნებმა“ გადაამოწმა ასეთი ფაქტები და შეეცადა გაერკვია იყო თუ არა შეთანხმება/ხელშეკრულება კორპუსის „ამხანაგობებსა“ და საარჩევნო სუბიექტებს შორის. ამასთან, ორგანიზაციამ ოფიციალური წერილით მიმართა საარჩევნო სუბიექტებს არსებული ხელშეკრულებების თაობაზე.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ გადაამოწმა საცხოვრებელი კორპუსები თბილისსა და ქუთაისში. რიგ შემთხვევებში „ამხანაგობების“ თავმჯდომარეების განცხადებით გაფორმებული იყო ხელშეკრულება „ამხანაგობასა“ და საარჩევნო სუბიექტს შორის. რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებები არ გაფორმებულა, ხოლო უმეტეს შემთხვევებში ასეთი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმების საჭიროება თუ არსებობდა „ამხანაგობების“ თავმჯდომარეები არ ფლობდნენ ინფორმაციას.

სააგიტაციო მასალის კორპუსებში განთავსების ფაქტები დაფიქსირდა, მაგალითად: ქ. თბილისის სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში, # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დარღვევების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია წარმოდგენილია „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის ამსახველ ელექტრონულ ბიულეტენებში „საარჩევნო სიახლენი“<sup>1</sup>.

## 5.2. არჩევნების დღის მონიტორინგი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ დააკვირდა 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების მიმდინარეობას არჩევნების დღეს. ორგანიზაცია კენჭისყრის მიმდინარეობას დააკვირდა 1100 საარჩევნო

<sup>1</sup> <http://isfed.ge/elections/updates/>

უბნის დამკვირვებლის, 73 საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის, 73 მობილური ჯგუფისა და 15 იურისტის მეშვეობით. ამასთანავე, ორგანიზაციამ განახორციელა არჩევნების დღის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი.

### ხარისხობრივი მონიტორინგის შედეგები

არჩევნების დღის განმავლობაში, ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- **დამკვირვებლებზე ზეწოლა** - # 3 საბურთალოს საარჩევნო ოლქის # 58 საარჩევნო უბანზე; # 11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის # 21 საარჩევნო უბანზე, # 20 რუსთავის საარჩევნო ოლქის # 41 საარჩევნო უბანზე, # 62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის # 36 საარჩევნო უბანზე, # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 72 საარჩევნო უბანზე, # 32 გორის საარჩევნო ოლქის # 72 საარჩევნო უბანზე.
- **დამკვირვებლების არ დაშვება/დაკვირვებაზე ხელის შეშლა/დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა** - # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 109 გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბანზე; # 32 გორის საარჩევნო ოლქის # 24 სპეციალურ საარჩევნო უბანზე; # 7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის # 46 საარჩევნო უბანზე, # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 21 საარჩევნო უბანზე.
- **ორგანიზაციის („სამართლიანი არჩევნების“) სახელის გამოყენება უცნობი პირების მიერ** - # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 47 და # 60 საარჩევნო უბნებზე.
- **საარჩევნო პროცედურების (გადასატანი საარჩევნო ყუთის ჩათვლით) დარღვევა** - # 11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის # 34 საარჩევნო უბანზე; # 30 კასპის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანზე; # 68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქის # 15, # 6 საარჩევნო უბნებზე; # 54 სამტრედიის საარჩევნო ოლქის # 33, # 34, # 35 საარჩევნო უბნებზე; # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 101, # 13, # 89, # 25, # 129, # 71, # 47, # 77 საარჩევნო უბნებზე; # 12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის # 19, # 43, # 11, # 9, # 1 საარჩევნო უბნებზე; # 52 ბაღდათის საარჩევნო ოლქის # 29, # 19, # 3 საარჩევნო უბნებზე; # 48 ხარაგაულის საარჩევნო ოლქის # 32, # 12 საარჩევნო უბნებზე; # 47 მესტიის საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანზე; # 7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის # 46 საარჩევნო უბანზე; # 5 ისნის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანზე; # 17 თელავის საარჩევნო ოლქის # 19, # 25 და # 49 საარჩევნო უბნებზე; # 11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის # 34 საარჩევნო უბნებზე, # 21 გარდაბნის საარჩევნო ოლქის # 25 საარჩევნო უბანზე. **ხმის მიცემის პროცესის დროს გამოვლენილი დარღვევები (გადასატანი საარჩევნო ყუთის ჩათვლით).** დაფიქსირდა სხვადასხვა ტიპის დარღვევები, ისეთები როგორებიცაა: სხვის ნაცვლად ხმის მიცემა, არასათანადო დოკუმენტით კენჭისყრაში მონაწილეობა (მაგ. დროებითი პირადობის მოწმობა), არჩევნებში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაციის გარეშე ხმის მიცემა (მაგ. იძულებით გადაადგილებული პირის მიერ იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის გარეშე) და სხვა: - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 16, # 22, # 41, # 64 საარჩევნო უბნებზე, # 4 კრწანისის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანი, # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 11, # 71, # 84, # 89, # 128, # 101, # 29 საარჩევნო უბანზე; # 30 კასპის საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანზე, # 6 სამგორის საარჩევნო ოლქის # 54 საარჩევნო უბანზე, # 48 ხარაგაულის საარჩევნო

ოლქის # 12 საარჩევნო უბანზე; # 5 ისნის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანზე; # 11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის # 34 საარჩევნო უბანზე; # 17 თელავის საარჩევნო ოლქის # 39 საარჩევნო უბანზე, # 39 ასპინძის საარჩევნო ოლქის # 1 საარჩევნო უბანზე, # 64 სენაკის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანზე, # 66 ხობის საარჩევნო ოლქის # 32 საარჩევნო უბანზე.

- ამომრჩეველთა სიის დანართის უზუსტობები - # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის # 34 და # 23 საარჩევნო უბნებზე; # 62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის # 33 და # 18 საარჩევნო უბნებზე; # 84 ხულოს საარჩევნო ოლქის # 15 საარჩევნო უბანზე.

- ამომრჩეველთა სიის უზუსტობები - # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 5 საარჩევნო უბანზე, # 6 სამგორის საარჩევნო ოლქის # 54 საარჩევნო უბანზე; # 12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის # 3 საარჩევნო უბანზე; # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის # 23, # 34, # 57 საარჩევნო უბნებზე; # 36 ბორჯომის საარჩევნო ოლქის # 2, # 3, # 4, # 5, # 6, # 7, # 8, # 23, # 25, # 26, # 27, # 28, # 36 საარჩევნო უბნებზე; # 38 ადიგენის საარჩევნო ოლქის #10 საარჩევნო უბანზე.

- ამომრჩეველთა რაოდენობაზე ნაკლები რაოდენობის ბიულეტენები საარჩევნო უბნებზე - # 32 გორის საარჩევნო ოლქის # 12, # 60, # 78, # 98 საარჩევნო უბნებზე; # 67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქის # 90 საარჩევნო უბანზე; # 3 საბურთალოს საარჩევნო ოლქის # 4 საარჩევნო უბანზე; # 56 ჭიათურის საარჩევნო ოლქის # 52, # 34, # 7, # 8, # 9, # 2 და # 23 საარჩევნო უბნებზე; #18 ახმეტის, #14 დედოფლისწყაროს, #16ყვარლის, # 13 სიღნაღის, # 16 ლაგოდეხის, # 52 ბაღდათის საარჩევნო ოლქების რიგ საარჩევნო უბნებზე;

- გაუმართავი მარკირების აპარატი/მარკირების არ შემოწმება - # 68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქის # 6 და # 15 საარჩევნო უბნები; # 54 სამტრედიის საარჩევნო ოლქის # 33, # 34, და # 35 საარჩევნო უბნები; # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 78 და # 101; # 47 მესტიის საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანზე; # 11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის # 34 საარჩევნო უბანზე; # 15 ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის # 3, # 18 და # 21 საარჩევნო უბნებზე, # 30 კასპის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანზე.

- კენჭისყრის პროცესის შეფერხება საარჩევნო უბნის გაუმართავი მუშაობის გამო - # 48 ხარაგაულის საარჩევნო ოლქის # 12 საარჩევნო უბანზე; # 69 ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქის # 21 საარჩევნო უბანზე; # 30 კასპის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანი; # 17 თელავის საარჩევნო ოლქის # 4, # 6 და # 44 საარჩევნო უბნებზე; # 45 ცაგერის საარჩევნო ოლქის # 32 საარჩევნო უბანზე, # 52 ბაღდათის საარჩევნო ოლქის # 3, # 19 და # 29 უბნებზე, # 43 ონის საარჩევნო ოლქის # 15 საარჩევნო უბანზე.

- მასმედიაზე ზეწოლა - # 38 ადიგენის საარჩევნო ოლქის # 7 საარჩევნო უბანზე.


- საარჩევნო უბნების არასათანადო ტექნიკური მომზადება - #12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის # 1, # 9, # 11, # 19, # 43 საარჩევნო უბნებზე (ბიულეტენებს არ ჰქონდა ბეჭდისა და ხელმოწერის ადგილი, ბიულეტენის უკანა გვერდზე).

**რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგები**


არჩევნების დღეს რეპრეზენტატულად შერჩეული საარჩევნო უბნებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა სწრაფი დათვლის შედეგების ანალიზი როგორც საქართველოს, ასევე თბილისის მასშტაბით.

შედეგების ცდომილების ხარისხი არის +/- 1.42%, 95 %-იანი შერჩევის სანდოობით.


**თბილისის მერის არჩევნების შედეგები**



**პროპორციული არჩევნების შედეგები საქართველოს მასშტაბით**



პროპორციული არჩევნების შედეგები თბილისის მასშტაბით



5.3. არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი<sup>2</sup>

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ განახორციელა არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი. მონიტორინგი განხორციელდა 25 საოლქო საარჩევნო კომისიაში, საქართველოს მასშტაბით. შერჩეული საარჩევნო ოლქებიდან 10 წარმოადგენდა დედაქალაქის საარჩევნო ოლქს, 4 თვითმმართველი ქალაქის საარჩევნო ოლქს, ხოლო დანარჩენი 11 გადანაწილდა „სამართლიანი არჩევნების“ რეგიონებს შორის, პროპორციულად. შესაბამისად, მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

ოლქის ნომერი	საარჩევნო ოლქი
1	მთაწმინდა
2	ვაკე

<sup>2</sup> დეტალური ინფორმაცია საარჩევნო ოლქების მიხედვით არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით, იხილეთ ორგანიზაციის არჩევნების მონიტორინგის ანგარიშში <http://www.youtube.com/watch?v=rOoR1G5lvB4>

3	საბურთალო
4	კრწანისი
5	ისანი
6	სამგორი
7	ჩუღურეთი
8	დიდუბე
9	ნამალადევი
10	გლდანი
15	ლაგოდეხი
17	თელავი

20	რუსთავი
21	გარდაბანი
32	გორი
35	ხაშური
37	ახალციხე
44	ამბროლაური
54	სამტრედია
59	ქუთაისი
62	ჩოხატაური
64	სენაკი
70	ფოთი
79	ბათუმი
83	ხელვაჩაური

ორგანიზაციის დამკვირვებლები 30 მაისის შემდეგ დააკვირდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივარ/განცხადებების განხილვისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საოლქო შემაჯამებელი ოქმების შედგენის პროცესებს.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, არჩევნების შემდგომ პერიოდში საქართველოს 25 საარჩევნო ოლქში შეტანილ იქნა სულ 105 საჩივარი, როგორც „სამართლიანი არჩევნების“ ასევე სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან და პოლიტიკური სუბიექტებისგან.

საოლქო საარჩევნო კომისიებში შეტანილი 105 საჩივრიდან:

- დაკმაყოფილდა - 12 საჩივარი,
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 12 საჩივარი
- არ დაკმაყოფილდა - 72 საჩივარი,
- მიიღეს როგორც ცნობად - 3 საჩივარი
- არ განხილულა - 6 საჩივარი

საჩივარ-განცხადებების განხილვის პროცესებზე მონიტორინგის განხორციელების შედეგად, „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლების მიერ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- საჩივრების განხილვის დროს, საოლქო საარჩევნო კომისიები არ ცდილობდნენ საჩივრის დეტალურ შესწავლას;
- ხშირ შემთხვევებში ხდებოდა საჩივრის განხილვაზე უარის თქმა დაუსაბუთებლად;
- საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხდებოდა საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და არა სრულყოფილად;
- საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც ძირითადად იყო კომისიის წევრების მიმართ სანქციის დაკისრება, ხდებოდა მინიმალური სანქციის დაკისრება და არა დარღვევის სიმძიმის შესაბამისი.

#### 5.4. „სამართლიანი არჩევნების“ საჩივარ განცხადებები<sup>3</sup>

30-31 მაისს საუბნო/საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი იქნა 72 განცხადება/საჩივარი, რომელთაგან 12 ეხებოდა დამკვირვებელთა უფლებების დარღვევას, 5 ამომრჩეველთა უფლებების დარღვევას, 15 ბიულეტენებთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო 39 საარჩევნო პროცედურათა დარღვევას. „სამართლიანი არჩევნების“ მიერ წარდგენილი 19 საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა, 14 საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 28 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 6 შემთხვევაში საჩივარი დარჩა განუხილველი/უარი გვეთქვა დარეგისტრირებაზე. რაც შეეხება 5 განცხადება/საჩივარს. ამ შემთხვევებში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ხარვეზი ადგილზევე იქნა აღმოფხვრილი.

არჩევნების შემდგომ პერიოდში ცენტრალურ/საოლქო საარჩევნო კომისიებში „სამართლიანი არჩევნების“ მიერ წარდგენილი იქნა 20 განცხადება/საჩივარი, რომელთაგან 3 ეხებოდა დამკვირვებლის უფლებების დარღვევას, ხოლო 17 კი წარდგენილ იქნა საარჩევნო პროცედურათა დარღვევის გამო. არჩევნების

<sup>3</sup>დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ შეტანილ საჩივარ/განცხადებებთან დაკავშირებით იხილეთ ორგანიზაციის არჩევნების მონიტორინგის ანგარიშში. <http://www.youtube.com/watch?v=rOoR1G5lvB4>

შემდგომ პერიოდში სრულად დაკმაყოფილდა „სამართლიანი არჩევნების“ მიერ წარდგენილი 7 განცხადება/საჩივარი. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2, ხოლო საერთოდ არ დაკმაყოფილდა 11 განცხადება/საჩივარი.

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენლების/დამკვირვებლების მიერ რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში საარჩევნო პროცედურათა დარღვევის გამო წარდგენილ იქნა 4 სარჩელი, რომელთაგან მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ წარდგენილი განცხადება/საჩივრების განხილვის დროს საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლო სისტემაში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია:

1. საქმის განმხილველი ორგანოს მიერ არ ხდებოდა საქმის დეტალური შესწავლა/გამოკვლევა, რათა გადაწყვეტილება მიღებული ყოფილიყო რეალურ სურათზე დაყრდნობით. ქვედა დონეების საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევაზე მსჯელობისას ცესკო იყო არაობიექტური და მიკერძოებული, არ ხდებოდა მომჩივანის/განმცხადებლის მიერ წარმოდგენილმომწმეთათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, თანდართული მტკიცებულებების სათანადო გამოკვლევა, მათი კომპეტენციის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის მოძიება; ქვემდგომი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმება და სხვ.

ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა ერთი და იგივე დებულების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე. საქმის განხილვისას საარჩევნო ადმინისტრაცია, ნაცვლად რეალური სურათის დანახვისა და სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისა, დაინტერესებული იყო წარდგენილ განცხადება/საჩივარში გამოენახა ხარვეზი და ამ საფუძველით თავი აერიდებინა საქმის განხილვისათვის.

2. აღსანიშნავია, რომ წარდგენილი საჩივრების დაკმაყოფილების შემთხვევაში კანონდამრღვევისათვის შეფარდებული სანქციები არაადექვატური იყო ჩადენილი სამართალდარღვევის. საქმის განმხილველი საარჩევნო კომისიები ქვემდგომი კომისიების სამართალდამრღვევ წევრებს მინიმალურ სანქციებს აკისრებდნენ. რაც შეეხება ფულადი სანქციების გამოყენებას, აღნიშნული სახის სანქციის გამოყენება მინიმუმამდე იყო დაყვანილი, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ კომისიების წევრთა ანაზღაურება კანონით დადგენილ ფინანსური სანქციების დაფარვას ვერ გასწვდებოდა.

ასევე ყველაზე მსუბუქი დისციპლინური ზომები გამოიყენებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების დროსაც. ზემდგომი საარჩევნო კომისიები, როგორც წესი, ორ ყველაზე მსუბუქ ფორმას – შენიშვნასა და გაფრთხილებას იყენებდნენ. ცესკომ ხშირად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების წინააღმდეგ შეტანილი რამდენიმე საჩივარი იმ მიზეზებითაც არ დააკმაყოფილა, რომ, მისი განმარტებით, 1) საარჩევნო კანონმდებლობის ზოგიერთი დებულების სრულად შესრულება შეუძლებელი იყო და 2) კომისიის წევრებს დამლელ და დამაბულ რეჟიმში უწევდათ მუშაობა. აღნიშნული მიზეზები არ ათავისუფლებს ცესკოს შეასრულოს კანონის მოთხოვნები და საარჩევნო დავების განხილვის დროს იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური.

3. გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ცესკოს, ისევე როგორც სხვადასხვა დონის საარჩევნო კომისიების ცალკეული წევრები და ხელმძღვანელები განცხადება/საჩივრების წარმდგენებს თავიანთ მოწინააღმდეგეებად აღიქვამდნენ და ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიმართ გამოხატული აგრესია პიროვნულ შეურაცხყოფაშიც გადაიზარდა. ასეთი განხილვები იმით სრულდებოდა, რომ მხარეები ფაქტობრივი გარემოებების გაცნობასა და შეფასებას ვერ ახერხებდნენ, და საარჩევნო ადმინისტრაციას ცალმხრივი, არაადეკვატური გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. 29 მაისს გამოქვეყნებულ წინასაარჩევნო პერიოდის შემაჯამებელ განცხადებაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცესკოს საქმიანობა, ზოგადად, დადებითად შეაფასეთ და ხაზი, განსაკუთრებით, მის გამჭვირვალობასა და კონსტრუქციულობას გაუუსვიტ. საოლქო საარჩევნო კომისიებში მაშინვე გაცილებით უარესი სურათი იყო. სამწუხაროდ, ცესკომ ეს კონსტრუქციულობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და საჩივრების განხილვის პროცესით თავის მიუკერძოებლობასა და პროფესიულ რეპუტაციას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

2008 წლის არჩევნებთან შედარებით 2010 წელს დადებითი ცვლილებები მხოლოდ ის იყო, რომ ცესკოს მიერ მომზადებული საჩივრის ფორმა ყველა საარჩევნო უბნის კომისიას ჰქონდა, საოლქო საარჩევნო კომისიები საჩივრების განხილვის დღისა და თარიღის თაობაზე მომჩივნისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას სრულად ასრულებდნენ, ასევე ნაკლებად იქმნებოდა პრობლემები განცხადება/საჩივრების საუბნო/საოლქო საარჩევნო კომისიებში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

## 5.5. დასკვნა

განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები შედგა, რაც გამოიხატა საქართველოს ამომრჩეველთა მხრიდან კენჭისყრაში აქტიური მონაწილეობით. საარჩევნო პერიოდში, აშკარად გამოიკვეთა საარჩევნო ადმინისტრაციისა და ხელისუფლების მხრიდან არჩევნების კარგად ჩატარების ნება, რაც დადებითია და აღნიშვნას საჭიროებს. თუმცა ასევე უნდა

აღინიშნოს, რომ როგორც წინასაარჩევნო პერიოდში ასევე არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდებში დაფიქსირდა უარყოფითი ტენდენციები, რამაც საბოლოოდ ხელი შეუშალა ზოგადად 2010 წლის 30 მაისის არჩევნების დემოკრატიულ სტანდარტებთან შესაბამისად შეფასებას.

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ საარჩევნო პროცესების შეფასებისას მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესების სამივე ეტაპის ჯეროვნად გათვალისწინება.

## **5.6. „სამართლიანი არჩევნების“ რეკომენდაციები**

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, საქართველოში საარჩევნო პროცესების გაუმჯობესებისა და მათი დემოკრატიულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით.

### **საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ**

- დაიხვეწოს არსებული საარჩევნო კანონმდებლობა, რისთვისაც აუცილებელია არჩევნებამდე გარკვეული პერიოდით ადრე შეიქმნას „საარჩევნო კოდექსის“ ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფი დაკომპლექტდეს როგორც ხელისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისაგან, ასევე საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტებისაგან. აღნიშნული ჯგუფის მიერ დროულად უნდა მოხდეს ცვლილებათა პაკეტის შემუშავება, რათა შესაძლებელი იყოს შემუშავებული რეკომენდაციების საჯარო განხილვა და შემდეგ ცვლილებათა საბოლოო პაკეტის წარდგენა საქართველოს პარლამენტისათვის;
- განისაზღვროს ცვლილებების შეტანის ბოლო ვადა კენჭისყრის დღემდე, რომლის შემდეგაც დაუშვებელი იქნება საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა;
- გაიზარდოს არჩევნების გამოცხადების კანონით განსაზღვრული ვადა, რათა არჩევნებში ჩართულმა ყველა მხარემ (საარჩევნო ადმინისტრაცია, საარჩევნო სუბიექტები, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები, მასმედია) შეძლოს არჩევნებისათვის შესაბამისად მომზადება;
- დაიხვეწოს საარჩევნო დავების განხილვის პროცესი; გამარტივდეს და მკაფიოდ განისაზღვროს გასაჩივრების პროცედურები;
- საარჩევნო პერიოდისათვის საარჩევნო ადმინისტრაციაში ან მისგან დამოუკიდებლად შეიქმნას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული საარჩევნო დავების განმხილველი ჯგუფი, რომელიც

დამოუკიდებლად განიხილავს, სრულყოფილად მოიკვლევს და მიიღებს საარჩევნო დავებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს;

- მოხდეს საარჩევნო კოდექსის სრულყოფა, რათა გამოირიცხოს ნორმათა შორის კოლიზია და აღმოიფხვრას საარჩევნო პროცედურების რეგულირებასთან დაკავშირებული ხარვეზები და იმ ქმედებისათვის, რომლებიც საარჩევნო კოდექსის თანახმად წარმოადგენს სამართალდარღვევას გაიწეროს კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომები;
- საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის პარალელურად საჭიროების მიხედვით მოხდეს შესაბამისი ცვლილება/დამატებების შეტანა ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში;
- საარჩევნო კანონმდებლობით ახლებურად დარეგულირდეს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და ვადა, რათა მაქსიმალურად მიღწეულ იქნეს საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალი კვალიფიკაციის დონე და სტაბილურობა.
- დაიხვეწოს და დეტალურად გაიწეროს წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები;
- კანონმდებლობით გამოიკვეთოს სახელმწიფოსა და პარტიას შორის არარსებული გამყოფი ხაზი;

### **საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ**

- თითოეულმა საარჩევნო მოხელემ უნდა უზრუნველყოს მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში საარჩევნო პროცესების კანონიერად და გამჭვირვალედ წარმართვა;
- ადმინისტრაციის თითოეულმა მოხელემ უნდა დაიცვას მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპები და სტაბილურობა. ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის სტაბილურობასა და მის კვალიფიციურობას;
- საარჩევნო პროცესების მაღალკვალიფიციურად წარმართვის მიზნით დაიხვეწოს და მკაცრად განისაზღვროს ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა შერჩევის კრიტერიუმები.
- ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება მოხდეს დროულად და გამჭვირვალედ, მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით;
- არჩევნების შემდგომ პერიოდში, ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდეს შუა და ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციების შეფასება წინასწარ და მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;
- ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოვლინდეს იმ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ვინაობა, რომლებმაც დაარღვიეს კანონი, ან/და ვერ/არ უზრუნველყვეს მისი ჯეროვნად შესრულება და მოხდეს მათზე შესაბამისი რეაგირება;

- დაიხვეწოს ადგილობრივ დამკვირვებელთა აკრედიტაციის პროცედურები, ამისათვის მობილიზება გაუკეთდეს საჭირო რაოდენობის რესურსს;
- დეტალურად გაიწეროს და შესრულდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონის მოხელეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები; ასეთი სწავლებები განხორციელდეს არჩევნებს შორის პერიოდებშიც;
- დაიხვეწოს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა შერჩევის კრიტერიუმები, რეგულარულად მოხდეს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობების მონიტორინგი;
- საჩივრების განხილვის დროს საარჩევნო ადმინისტრაცია იყოს პროაქტიული. შეისწავლოს საქმე ძირეულად, რათა მოხდეს რეალური სურათის დადგენა და არსებულ სიტუაციაზე დაყრდნობით მოახდინოს ადეკვატური რეაგირება;
- საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიკვლიოს და რეაგირება მოახდინოს წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ პერიოდებში არსებულ დარღვევებზე;
- საჩივრების განხილვის პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციამ/დავების განმხილველმა ჯგუფმა კანონის დამრღვევ პირთა მიმართ გამოიყენოს პასუხისმგებლობის ზომა კანონდარღვევის სიმძიმის მიხედვით.
- ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე დამატებით მოხდეს ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა გადამზადება საარჩევნო დოკუმენტაციის სახელმწიფო ენაზე წარმოების უზრუნველსაყოფად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ენობრივი ბარიერის გამო შექმნილი პრობლემები, ისეთი როგორცაა არასრული შემაჯამებელი ოქმი, არასწორად წარმოებული ჩანაწერთა წიგნი და ა.შ

### ამომრჩეველთა სიის შესახებ

- არასაარჩევნო პერიოდში გაგრძელდეს საარჩევნო სიების სრულყოფაზე მუშაობა, უზრუნველყოფილ იქნას ამ პროცესში პოლიტიკური პარტიების ჩართვა.
- მოხდეს ამომრჩეველთა ერთიანი სიის რედაქტირება, შემუშავდეს მისამართების საერთო სახელწოდებები, რათა გაადვილდეს კონკრეტულ მისამართზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ძიება;
- სასურველი იქნება 2012 წლის არჩევნებისთვის გაკეთდეს ამომრჩეველთა სიის ისეთივე თავსებადი ბაზები, როგორც ეს გაკეთდა 2010 წლის არჩევნებისთვის. ოღონდ თავსებადი უნდა იყოს არა მხოლოდ ცესკოსა და სამოქალაქო რეესტრის ბაზები, არამედ ყველა იმ ორგანოსი, რომლებიც კანონმდებლობით ვალდებული არიან მიაწოდონ მოქალაქეთა სიები ცესკოს, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების მიზნით.

### სხვა

- გამკაცრდეს მონიტორინგი მოქალაქეებსა და საჯარო მოხელეებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტებთან დაკავშირებით. ამასთან ყველა გამოვლენილი ფაქტი დროულად იქნეს გამოძიებული შესაბამის ორგანოთა მიერ, დადგეს სამართალდამრღვევ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და აღნიშნული საჯაროდ გაცხადდეს;

## 6. საარჩევნო სადამკვირვებლო მისიები ქვეყნის ფარგლებს გარეთ

2010 წლის განმავლობაში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ორგანიზაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ENEMO<sup>4</sup>-ს, ეუთო/ოდირისა და NDI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებში. კერძოდ:

1. **უკრაინა** - 2010 წლის 17 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები;
2. **ყირგიზეთი** - 2010 წლის 10 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები;
3. **იორდანია** - 2010 წლის 9 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები;
4. **კოსოვო** - 2010 წლის 12 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნები.

**უკრაინა** - უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე, არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (ENEMO) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ მიაღწინა 6 გრძელვადიანი და 26 მოკლევადიანი დამკვირვებელი, როგორც პირველ, ასევე მეორე ტურზე. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ 6 გრძელვადიანი დამკვირვებელი ორი თვის განმავლობაში დააკვირდა არჩევნების სრულ პროცესს უკრაინაში, კერძოდ წინასაარჩევნო პერიოდს, არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდს. რაც შეეხება მოკლევადიან დამკვირვებლებს, ორგანიზაციის 26 დამკვირვებელი დააკვირდა 2010 წლის 17 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების I ტურს, ხოლო 3 თებერვალს - საპრეზიდენტო არჩევნების II ტურს.

<sup>4</sup> არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელი (ENEMO) არის საერთაშორისო, არჩევნებზე სადამკვირვებლო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მოქმედ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, როგორც ENEMO-ს წევრი ორგანიზაცია, მონაწილეობას იღებს მის ყველა საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში. „სამართლიანი არჩევნები“ ENEMO-ს ერთადერთი წარმომადგენელია საქართველოდან.

**ყირგიზეთი** - „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ დააკვირდა 2010 წლის, 10 ოქტომბრის ყირგიზეთის საპარლამენტო არჩევნებს. ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი არჩევნებს დააკვირდა არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (ENEMO) მისიის ფარგლებში, ხოლო ერთი წარმომადგენელი - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის(ეუთო) მისიის ფარგლებში. "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები ჩავიდნენ ყირგიზეთში 7 ოქტომბერს და დააკვირდნენ სრულ საარჩევნო პროცესს არჩევნების დღეს, კერძოდ: საარჩევნო უბნების გახსნას, ხმის მიცემის პროცესს და ხმების დათვლის პროცესს, როგორც საარჩევნო ოლქებში, ასევე საარჩევნო უბნებში.

**იორდანია** - ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში „სამართლიანი არჩევნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი იმყოფებოდა იორდანის სამეფოში, საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის მიზნით. ორგანიზაციის წარმომადგენელი თვენახევრის განმავლობაში კონსულტაციებს უწევდა ორ ადგილობრივ სადამკვირვებლო კოალიციას არჩევნების მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, არჩევნების დღეს მონაწილეობა მიიღო როგორც საერთაშორისო მოკლევადიანმა დამკვირვებელმა.

**კოსოვო** - ENEMO-ს საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, „სამართლიანმა არჩევნებმა“ კოსოვოში მიავიღა 1 გრძელვადიანი დამკვირვებელი, საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით. ორგანიზაციის წარმომადგენელი ერთი თვის განმავლობაში აკვირდებოდა სრულ საარჩევნო პროცესს - წინასაარჩევნო პერიოდს, არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდს. რაც შეეხება უშუალოდ არჩევნების დღეს, „სამართლიანმა არჩევნებმა“ 12 დეკემბრისათვის მიავიღა ორგანიზაციის 4 მოკლევადიანი წარმომადგენელი არჩევნების დღის მონიტორინგის მიზნით.

## 7. კონფერენციები და შეხვედრები

2010 წლის განმავლობაში „სამართლიანი არჩევნების“ თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ კონფერენციასა და შეხვედრაში, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ღონისძიების სახელწოდება	მდებარეობა	თარიღი	მონაწილე
კოპენჰაგენის დოკუმენტის მიღების 30 წლისთავისათვის მიძღვნილი შეხვედრა	კოპენჰაგენი, დანია	9-13/06/2010	ეკატერინე სირაძე-დელონე
ევროკომისიის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო ორგანიზაციების ფორუმი	ბრიუსელი, ბელგია	14-17/07/2010	ნინო დოლიძე
ადამიანური განზომილების ეუთო ოდირის მორიგი შეხვედრა	ვარშავა, პოლონეთი	30/09-02/11.2010	ეკატერინე სირაძე-დელონე
ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ არჩევნების შეფასების სამუშაო შეხვედრა	კიევი, უკრაინა	3-9/10/2010	ეკატერინე სირაძე-დელონე
სასწავლო ტური ხორვატიულ არასამთავრობო ორგანიზაციაში GONG	ზაგრები, ხორვატია	13-18/09/2010	ეკა სირაძე-დელონე ნინო დოლიძე თამარ ბართაია ქეთევან სავანელი
აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი	ბრიუსელი, ბელგია	7-8/10/2010	გიორგი თაბაგარი
ევროკავშირის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი	ბერლინი, გერმანია	16-20/11/2010	ეკატერინე სირაძე-დელონე
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	თბილისი, საქართველო	02/12/2010	გიორგი თაბაგარი

## 8. საზოგადოებასთან ურთიერთობა/პუბლიკაციები

2010 წლის განმავლობაში „სამართლიანი არჩევნები“ აქტიურად იყო ჩართული ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ინიციატივებში. ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო არაერთ შეხვედრაში, მრგვალ მაგიდაში, საკანონმდებლო განხილვასა თუ პრეზენტაციაში, სადაც პერიოდულად წარადგენდა თავის შეხედულებებსა და რეკომენდაციებს დემოკრატიული პროცესების შემდგომი განვითარებისთვის ქვეყანაში.

2010 წელი იყო საარჩევნო წელი, შესაბამისად „სამართლიანი არჩევნები“ აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მედიასთან. ორგანიზაციამ დაფარა როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონალური ტელევიზიები და ბეჭდვითი მედია. ეს გამოწვეული იყო როგორც არჩევნების მონიტორინგით, ასევე მიმდინარე პროექტებით, რომლებიც მუნიციპალიტეტების დონეზე ხორციელდებოდა.

2010 წელს „სამართლიანმა არჩევნებმა“ გამოსცა 25 პრესრელიზი, 24 მედია განცხადება, 4 ელექტრონული ბიულეტენი „საარჩევნო სიახლენი“. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის საქმიანობები მასმედიაში გაშუქდა დაახლოებით 255 - ჯერ.

2010 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ ჩაატარა 10 რადიო და 10 ტელე თოქშოუ. რადიო და ტელე გადაცემებში მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ისაუბრეს არჩევნებთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

ორგანიზაციამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი არჩევნებზე, რომელიც გავრცელდა როგორც ცენტრალური მედიის, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით, ასევე 26 რეგიონალური ტელევიზიის საშუალებით. გარდა ამისა ფილმის მოკლე ვერსია 1 თვის განმავლობაში ტრიალებდა კინოთეატრ „რუსთაველში“, ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.

2010 წლის განმავლობაში „სამართლიანმა არჩევნებმა“ გამოსცა სხვადასხვა ბეჭდვითი მასალა, ორგანიზაციის პროექტების ეფექტურად განხორციელების მიზნით. ესენია:

- 2009 წლის წლიური ანგარიში - ქართულ-ინგლისურ ენოვანი;
- ლიფლეტი - გადაამოწმე შენი თავი ამომრჩეველთა სიაში - ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- ლიფლეტი - არჩევნების დღის პროცედურები - ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;

- 2010 წლის 30 მაისის არჩევნების მონიტორინგის ანგარიში - ქართულ-ინგლისურ ენოვანი;
- წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის სახელმძღვანელო ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის;
- არჩევნების დღის მონიტორინგის სახელმძღვანელო ორგანიზაციის მოკლევადიანი დამკვირვებლებისთვის;
- არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის სახელმძღვანელო ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის.

## **9. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სტრუქტურა და წევრები**

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციის თითოეული წევრი მონაწილეობას იღებს მის მართვასა და შესაბამისად გადაწყვეტილებების მიღებაში.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მმართველობის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელიც იკრიბება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, მარტის პირველ შაბათს. საერთო კრება როტაციის პრინციპითა და პრეფერენციული სისტემით ირჩევს გამგეობის 9 წევრს. გამგეობის სამი წევრი განახლდება ყოველწლიურად, საერთო კრებაზე, კენჭისყრის საფუძველზე. გამგეობა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა, რომელიც ორგანიზაციას მართავს კრებებს შორის შუალედში. გამგეობა ირჩევს და ერთი წლის ვადით ნიშნავს ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს, და უფლებამოსილია დაამტკიცოს ერთი და იგივე პირი ყოველწლიურად ზედიზედ მხოლოდ ოთხჯერ. აღმასრულებელი დირექტორი მართავს ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას და წარმოადგენს ორგანიზაციას საგარეო ურთიერთობების დროს.

### **9.1. წევრთა საერთო კრება**

2010 წლის 26 მარტს გაიმართა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრო ორგანიზაციის 73 დელეგატი.

### **9.2. გამგეობა**

2010 წელს ჩატარდა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ გამგეობის 5<sup>7</sup> სხდომა. გამგეობის მიერ განხილულ იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ორგანიზაციის გამგეობის წევრები 2010 წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ ორგანიზაციის სხვადასხვა საქმიანობებში, ამასთან, მათ მიიღეს არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

2010 წლის ნოემბერში, ორგანიზაციის გამგეობამ ეკატერინე სირაძე დელონეს ერთი წლის ვადით გაუგრძელა აღმასრულებელ დირექტორის თანამდებობა.

### **9.3. თანამშრომლები**

2010 წლის მანძილზე „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ფუნქციონირებდა ცენტრალური ოფისის, 5 რეგიონალური ოფისის, 5 რესურს ცენტრისა და 75 ქალაქის/ოლქის/მუნიციპალიტეტის კოორდინატორის საშუალებით.

ორგანიზაციის ცენტრალური ოფისის თანამშრომელთა რაოდენობა იცვლებოდა პროექტებიდან გამომდინარე. საარჩევნო პროცესებიდან გამომდინარე 2010 წელს არჩევნებისთვის მოხდა თანამშრომელთა, აქტივისტთა და მოხალისეთა დამატება გარკვეული პერიოდით.

2010 წელს ორგანიზაციის რეგიონალური ოფისები განლაგებული იყო ბათუმში, ქუთაისში, გურჯაანში, თბილისი I-სა და თბილისი II-ში. ორგანიზაციის რეგიონალური ოფისი წარმოადგენს ოფისს, კონკრეტული რეგიონის ტერიტორიაზე და კოორდინაციას უწევს რაიონული წარმომადგენლებისა და აქტივისტების მუშაობას შესაბამის რეგიონალურ ტერიტორიაზე.

2010 წელს პროექტის ფარგლებში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ ასევე დააარსა რესურს ცენტრები. დაარსდა 5 რესურს ცენტრი: ზუგდიდში, ახალციხეში, მარნეულში, ბათუმსა და გურჯაანში. ამისათვის ორგანიზაციამ აიყვანა დამატებითი თანამშრომლები - რესურს ცენტრების ხელმძღვანელები.

2010 წლის განმავლობაში „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მუშაობას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, კოორდინაციას უწევდა თბილისში მდებარე ცენტრალური ოფისი.

### **9.4. მოხალისეები**

2010 წელს ორგანიზაციის მოხალისეთა დახმარებით ჩატარდა პროექტებით გათვალისწინებული არაერთი საქმიანობა. 30 მაისის არჩევნებისთვის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აქტივისტებმა განახორციელეს ამომრჩეველთა ინფორმირების ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც მოიცავდა: ავტო-ტურებს, საჯარო სტენდებს, კითხვა-პასუხისა და სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. ორგანიზაციის წესდების მიხედვით მოხალისე, რომელიც დააგროვებს შესაბამისი რაოდენობის სამუშაო საათებს, შესაძლებლობა ეძლევა, მისი სურვილის არსებობის

შემთხვევაში, გახდეს ორგანიზაციის წევრი. 2010 წელს ორგანიზაციას წევრთა ბაზას დაემატა წევრები და წლის ბოლოსათვის ორგანიზაციის წევრთა რაოდენობამ შეადგინა ? წევრი.

#### **9.5. ორგანიზაციის გამგეობის წევრები და თანამშრომლები 2010 წელს**

##### **გამგეობა**

თორნიკე შარაშენიძე - გამგეობის თავმჯდომარე  
თამარ ქაროსანიძე - წევრი  
ქეთევან სავანელი - წევრი  
თინათინ ბაიხანაშვილი - წევრი  
ნინო შარაშენიძე - წევრი  
მარეხი გაგნიძე - წევრი  
ირინა წერეთელი - წევრი  
ნანა მამაგულაშვილი - წევრი  
ირინა გაბუნია - წევრი

##### **ცენტრალური ოფისის თანამშრომლები**

ეკატერინე სირაძე-დელონე - აღმასრულებელი დირექტორი  
მიხეილ კეჭყაძე - პროგრამების მენეჯერი  
ტაისა კუვაკინა - ფინანსური მენეჯერი  
ანა მიქელაძე - ქსელის დირექტორი  
ნინო დოლიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი  
თათული არველაძე - იურისტი  
გიორგი თაბაგარი - პროგრამების განვითარების ოფიცერი  
თამარ კირვალიძე - ადმინისტრაციული ოფიცერი, მოლარე  
მიხეილ კილაძე - IT მენეჯერი  
თამარ ბართაია - პროექტის კოორდინატორი  
მაია პაქსაშვილი - პროექტების ასისტენტი  
ნინო სუმბაძე - ფინანსური ასისტენტი  
გოდერძი კაპანაძე - ლოჯისტიკი  
მიხეილ ყაველაშვილი - მძღოლი

##### **რეგიონალური ოფისები**

ლია ნოდაშვილი - თბილისი I-ის (თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი) რეგიონალური კოორდინატორი.

ნინო ბიბილეიშვილი - თბილისი II-ის (შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) რეგიონალური კოორდინატორი.

ნანა დევიძე - გურჯაანის (კახეთი) რეგიონალური კოორდინატორი.

თეონა გოგიშვილი - ქუთაისის (იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) რეგიონალური კოორდინატორი.

მადონა ბერიძე - ბათუმის (აჭარა-გურია, ფოთი) რეგიონალური კოორდინატორი.

## 10. დონორი/პარტნიორი ორგანიზაციები



აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (1)



ბრიტანეთის საელჩო საქართველოში (2)



გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (3)



ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი



ევროკავშირი



ევროპის საბჭო



ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის



ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი



ფონდი - ღია საზოგადოება, საქართველო



შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო